

სს „პრაქტიკა“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სააქციო საზოგადოება

„პრაქტიკა“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022

შინაარსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 202 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	6
დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 2 ოქტომბრის	6

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები		7 048 512	2 198 563
საქონლის გაყიდვიდან	4	7 048 512	2 198 563
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(4 750 856)	(1 547 151)
საწყისი მარაგები		380 960	402 702
მარაგების შესყიდვა		5 118 478	1 525 409
საბოლოო მარაგები		748 582	380 960
საერთო მოგება		2 297 657	651 412
სხვა შემოსავალი		3 952	3 126
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 332 794)	(399 431)
ცვეთა და ამორტიზაცია		(46 009)	(23 906)
ოჯარის ხარჯი		(238 347)	(91 614)
საპროცენტო ხარჯი		(16 395)	(5 682)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(154 927)	(51 594)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 784 522)	(569 101)
საოპერაციო მოგება		513 135	82 311
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7	(157)	(59)
მოგება დაგეგვრამდე		512 978	82 253
მოგების გადასახადის ხარჯი		(21 053)	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
დივიდენდი	8	(73 684)	-
სულ წლის სრული შემოსავალი		418 241	82 253

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 2 ოქტომბერს
 დირექტორი
 ლევან ესვანჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.22	31.12.2021	01.01.21
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	15 957	6 328	3 980
სავაჭრო მოთხოვნები	10	743 218	331 012	188 245
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	10	21 840	3 018	6 520
მარაგები	11	748 582	380 960	403 448
- მზა პროდუქცია		743 287	378 357	402 702
- სხვა		5 295	2 603	746
სხვა მოკლევადიანი აქტივები		451	179	207
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 530 048	721 496	602 400
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	258 017	96 773	63 141
არამატერიალური აქტივები		4 191	2 598	1 920
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		262 208	99 371	65 061
სულ აქტივები		1 792 256	820 867	667 461
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	894 358	561 713	545 641
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13	10 446	4 733	3 082
საგადასახადო ვალდებულებები	14	46 205	18 401	5 525
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		154 710	33 818	11 272
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 105 719	618 666	565 520
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები		109 609	43 514	25 507
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		109 609	43 514	25 507
სულ ვალდებულებები		1 215 328	662 180	591 027
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		158 687	76 434	76 434
დივიდენდი		(73 684)	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი		491 926	82 253	-
სულ საკუთარი კაპიტალი		576 928	158 687	76 434
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 792 256	820 867	667 460

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 2 ოქტომბერს

დირექტორი

ლევან ესვანჯია

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 202 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის	-	76 434	76 434
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	82 253	82 253
დივიდენდი	-	-	-
სხვა ცვლილება კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის	-	158 687	158 687
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	491 926	491 926
დივიდენდი	-	(73 684)	(73 684)
სხვა ცვლილება კაპიტალში	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	576 928	576 928

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 2 ოქტომბერს
 დირექტორი
 ლევან ესვანჯია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31.12.22	31.12.21
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	512 978	82 253
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	67 061	23 906
- ცვეთა და ამორტიზაცია	46 009	23 906
- მოგების გადასახდის ხარჯი	21 053	
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(377 964)	(81 611)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(431 028)	(139 265)
- მარაგები	(367 622)	22 488
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	393 154	22 262
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	27 804	12 876
- სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება	(272)	28
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	202 075	24 548
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	202 075	24 548
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(118 762)	(22 032)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	-
- არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(168)
- გადახდილი დივიდენდი	(73 684)	-
- საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(192 446)	(22 201)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	-
სესხის გაცემა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	9 629	2 348
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	6 328	3 980
ფულადი სახსრების ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	15 957	6 328

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 2 ოქტომბერს
 დირექტორი

ლევან ესვანჯია

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „პრაქტიკა“ დაფუძნებულია 2017 წლის 29 მაისს. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საღებავებით და სხვა სარემონტო მასალებით. საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გურამ ფანჯიკიძის ქ., შესახვევი I, N 1, სართული 7, ბ. N24

საწარმოს დამფუძნებელი და მისი აქციების 100 პროცენტის მფლობელია ლევან ესვანჯია (პ.ნ 01001008009) .

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 21 თანამშრომელი (2021:21).

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენისას, კლასიფიკაციას ახდენს ხარჯების ბუნებიდან გამომდინარე. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2022 წლის 31 დეკემბრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2021 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად საწარმოს სტანდარტზე გადასვლის

თარიღად ირჩევს 2021 წლის 1 იანვარს რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ	
	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის

ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნების დარეზერვების გაანგარიშების ცხრილი გამოიყურება შედეგნაირად:

ვადაგადაცილებული დღეები	<30	31-90	91-180	181-360	>361
დარეზერვების პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ

ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

- | | |
|---------------------------|-----|
| • მანქანა-დანადგარები | 20% |
| • ოფისის აღჭურვილობა | 20% |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 20% |

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არა რეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება ინდივიდუალური ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4 შემოსავლები

	2 022	2 021
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	7 164 827	2 222 386
უკან დაბრუნება	(116 315)	(23 823)
სულ:	7 048 512	2 198 563

საწარმოს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საღებავების და სხვა სარემონტო მასალების საცალო რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე.

5 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2 022	2 021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4 834 401	1 548 479
უკან დაბრუნებული პროდუქცია	(83 542)	(1 328)
სულ :	4 750 860	1 547 151

5 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2 022	2 021
რეკლამის ხარჯები	(19 969)	(4 788)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(9 250)	(1 072)
მიწოდების სხვა ხარჯები	(1 661)	(805)
საპენიოს შენატანი	(22 980)	(6 603)
კომუნიკაციის ხარჯები	(18 680)	(6 758)
კომუნალური ხარჯები	(15 245)	(6 403)
დაზღვევა	(13 385)	(3 646)
სამივლინებო ხარჯები	(9 950)	-
რემონტი	(322)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(10 364)	(5 964)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(835)	(547)
საბანკო მომსახურება	(3 602)	(1 065)
საბანკო მომსახურება ტერმინალი	(15 790)	(4 894)
საჯარო რეესტრის, ნოტარიუსის, თარჯიმნის და სხვა სარეგისტრაციო ხარჯი	(576)	(246)
სხვა საერთო ხარჯი	(11 807)	(8 802)
არასაოპერაციო ზარალი	(502)	-
ჯარიმები	(9)	-
სულ:	(154 927)	(51 594)

7 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი

	2 022	2 021
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(750)	(63)
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	593	5
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	(157)	(59)

8 დივიდენდი

	2 022	2021
გადახდილი დივიდენდი	(70 000)	-
დივიდენდის საშემოსავლო	(3 684)	-
სულ განაწილებული დივიდენდი	(73 684)	-

9 ფული და ფულის ექვივალენტები

	2 022	2021
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	4 173	2 879
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	10 471	3 442
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	1 313	6
სულ:	15 957	6 328

10 მოთხოვნები

	2 022	2 021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	741 368	331 012
მოთხოვნები ბანკებიდან	1 850	(0)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	21 840	3 018
სულ:	765 058	334 030

11 მარაგები

	2 022	2021
გასაყიდად გამიზნული საქონელი	743 287	378 357
საწვავი და სხვა მცირეფასიანი მარაგები	5 295	2 603
სულ მარაგები:	748 582	380 960

საწარმოს ძირითადი მარაგები მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ მზა პროდუქციის მარაგებს.

12 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	სხვა აღჭურვ ილობა	ავიჯი და სხვა ინვენტა რი	მცირე ფასიან ი ინვენტ არი	სატრანს პორტო საშუაღე ბები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუაღება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწ ყობა	ჯამი
ლარში								
2021 წლის საწყისი მდგომარეობით	5 606	576	25 210	614	13 812	32 182	11 278	89 279
შესყიდვა	2 100	-	17 801	623	-	37 014	-	57 538
გასვლა	-			-				
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	7 706	576	43 011	1 237	13 812	69 197	11 278	146 817
				-				
შესყიდვა	8 158	331	33 429	916	48 200	108 344	7 875	207 253
გასვლა			-	-	7 163			
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	15 864	907	76 440	2 153	54 849	177 541	19 154	346 907
დაგროვილი ცვეთა	-	-	-					
2021 წლის საწყისი მდგომარეობით	1 744	174	7 669	236	3 444	7 808	5 064	26 139
ცვეთის ხარჯი	952	60	5 940	124	2 074	13 824	932	23 906
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-				
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 696	234	13 608	361	5 517	21 632	5 996	50 045
ცვეთის ხარჯი	3 159	203	12 814	410	11 997	14 060	3 366	46 009
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა				-	7 163			7 163
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	5 855	437	26 422	770	10 351	35 692	9 362	88 890
საბალანსო ღირებულება								
2021 წლის 01 იანვარი	3 862	403	17 542	378	10 369	24 374	6 215	63 141
2021 წლის 31 დეკემბერი	5 010	342	29 403	876	8 295	47 564	5 282	96 773
2022 წლის 31 დეკემბერი	10 009	470	50 018	1 382	44 498	141 849	9 791	258 017

13 სავაჭრო ვალდებულებები

	2 022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	894 358	561 713
გადასახდელი ხელფასები	10 446	4 733
სულ:	904 804	566 447

14 საგადასახადო ვალდებულებები

	2 022	2 021
გადასახდელი დღგ	6 548	14 149
ქონების გადასახადი	717	351
მოგების გადასახადი	21 053	-
ერთიანი საგადასახადო ბარათი	17 888	3 901
სულ:	46 205	18 401

15 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად და ფასს-ის 35-ე მუხლის გათვალისწინებით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 2 ოქტომბრის თარიღისათვის.

2022 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.